ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**ბ14. 142400910**

თარიღი:**09/01/2024**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის „ჯანმრთელობის დაცვა“, ქვეპროგრამის „მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება“ (ღონისძიება „მაღალტექნოლოგიური ამბულატორიული კვლევების დაფინანსება“) განხორციელებასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის „ჯანმრთელობის დაცვა“, ქვეპროგრამის „მოქალაქეთა ინდივი დუალური სამედიცინო დახმარება“ ფარგლებში, ღონისძიების „მაღალტექნოლო გიური ამბულატორიული კვლევების დაფინანსება“ განხორციელების მიზნით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე.“ ქვეპუნქტის და „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 დეკემბრის N29 დადგენილების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს:

ა) „მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება“ ქვეპროგრამით გათვალისწინებული ღონისძიების „მაღალტექნოლოგიური ამბულატორიული კვლევების დაფინანსება“ ფარგლებში სამედიცინო ვაუჩერის გაცემისა და გამოყე ნების წესი, თანახმად დანართი 1-სა;

ბ) სამედიცინო დაწესებულებასთან გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექ ტი, თანახმად დანართი 2-სა.

2. „მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება“ ქვეპროგრამით გათვალისწინებული ღონისძიების „მაღალტექნოლოგიური ამბულატორიული კვლევების დაფინანსება“ ფარგლებში გასაცემ სამედიცინო ვაუჩერზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სახელით ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა

სოციალური სამსახურის უფროსს.

3. „მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება“ ქვეპროგრამით გათვალისწინებული ღონისძიების „მაღალტექნოლოგიური ამბულატორიული კვლევების დაფინანსება“ ფარგლებში, სამედიცინო დაწესებულებასთან გასაფორმებელ ხელშეკრულებაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სახელით ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს ქალაქ ბათუმის მუნიციპა ლიტეტის მერის მოადგილეს ლელა სურმანიძეს.

4. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალუ რი დაცვის სამსახურმა უზრუნველყოს „მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება“ ქვეპროგრამით გათვალისწინებული ღონისძიების „მაღალტექნოლოგიური ამბულატორიული კვლევების დაფინანსება“ ფარგლებში, სამედიცინო დაწესებულებასთან გაფორმებული ხელშეკრულების შენახვა, ხელ შეკრულების შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებისათვის და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურისადმი მიწოდება.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

არჩილ ჩიქოვანი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია-მერი